გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადება თ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, რადგან 1 ნოემბრამდე საპრემიოდ ერთის მოთხრობის მეტი არ იქმნა წარმოდგენილი, ამისთვის გამგეობა ხელმეორედ აცხადებს ორს პრემიას საუკეთესო ისტორიულის მოთხრობისათვის. პირობები წინანდელია: პირველი პრემია 200 მან. და მეორე 100 მან. პირველს პრემიაზე მოთხრობა უნდა იქმნას დაწერილი არა ნაკლებ 10 ბეჭდურის თაბახისა და მეორე არა ნაკლებ 5 თაბახისა. პრემიით დაჯილდოვებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეგზ., რომლის გაყიდვის შემდეგ ავტორს ეძლევა უოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნენ 1 ნოემბრამდე 1892 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილის კონვერტით. ადრესი: Правленію грузинскаго издательскаго товарищества въ Тифлисѣ

(5—2)


**ხუთშაბათს, 21 ნოემბერს,**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის თეატრში

**უკანასკნელს**



სპირიტულსა და სამედიუმო წარმოდგენას გამართავს მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის არტისტი, წევრი ბერლინის საფიზიკო კაბინეთისა, ჩვენის დროის პირველი პრესტიდიჟატორი, ნ. ა. კაზლოვი.

ბილეთების ყიდვა ეხლავე შეიძლება თეატრის კასსაში. (2—1)


## ახალი ამბავი

*** ხელმწიფე იმპერატორმა ინება და უმაღლესად დაამტკიცა გარდაწყვეტილება უწმინდესის სინოდისა იმის შესახებ, რომ რექტორი ტფილისის სასულიერო სემინარიისა ითვლებოდეს მუდმივ წევრად ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორისა და ეძლეოდეს ამისათვის დაწესებული ჯამაგირიც.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალს რექტორს ამ დღეებში მოელიან რუსეთიდამ.

*** ორშაბათს, ამ თვის 18, ღამით, ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ „უჯარის“ საფოსტო განყოფილება გაუტეხნიათ და ორი ფოსტის აბგა მოუპარავთ. ეს აბგები ტფილისში გამოსაგზავნად „უჯარის“ სადგურში გეოქჩაიდგან მიუტანიათ და შიგ, სხვა-და-სხვა წერილს გარდა, ფულად სულ 36 მანეთი ყოფილა. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** „წითელის ჯვრის“ საზოგადოება აცხადებს, რომ 1 ნოემბრამდე შემოვიდა შემოწირულებანი 945,594 მან.

*** ორშაბათს, ამ თვის 18, წმინდა იოვანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში მართლ-მადიდებლად მონათლა ებრაელი ბროცკი, რომელიც ცირკში არტისტად არის. ბროცკის სახელად ვასილი დაარქვეს. ახლად მონათლული ოც-და-ოთხის წლისაა.

*** ამ უკანასკნელს დღეებში ტფილისში რუსეთიდგან ფოსტა ძალიან გვიანდება. ფოსტის დაგვიანების მიზეზი, როგორც დეპეშებით იუწყებიან, ის არის, რომ კავკავისა და როსტოვის გზაზე დიდი თოვლი მოსულა და მატარებლები კავკავში გვიანდება. კავკავის გზაზე, ყაზბეგსა და ბალთას შუა, თოვლი დამდნარა. ფოსტა სადგურს „გუდაურსა“ და „კობს“ შუა მარხილებით გადმოაქვთ.

*** საერო განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრს გადაუწყვეტიათ ერთად და მიუწერიათ სწავლა-განათლების ყველა მზრუნველთათვის, უბრძანეთ, რომ ყველა სასწავლებლის მოსწავლენი და მასწავლებელნი, როგორც მართლ-მადიდებელნი, ისე სხვა ქრისტეანენიც უეჭველად ესწრებოდნენ ხოლმე პარაკლისს დიდს უქმე დღეებში, როდესაც ამ პარაკლისს იხდის მართლ-მადიდებელი სამღვდელოებაო. ვინც ამ წესს არ შეასრულებს, დაუყოვნებლივ უნდა იქმნას დათხოვნილნი სასწავლებლიდამაო.

*** კვირას, 8 დეკემბერს, ტფილისის, სამუსიკო კრუჟოკში“ გამართული იქნება რუსეთში დამშეულთა სასარგებლოდ ბალ-მასკარადი ცხოველის სურათებითა. როგორც ამბობენ, ეს საღამო ძალიან მდიდრულად იქნება გამართული, ცხოველს სურათებს შორის, იქმნება სურათები ვეფხვის-ტყაოსნიდამაც.

*** დღეს, 20 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში წლიური კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) საადმინისტრაციო საქმენი.

2) ანგარიშები „საზოგადოების“ მოხელეთა:

ა) ხაზინადარის ნ. პ. სმიტენისა.

ბ) ბიბლიოთეკის მცველის მ. ა. თოფჩიშვილისა.

გ) მდივნის ა. ს. ფრენკელისა.

3) სიტყვა თავმჯდომარისა თ. ა. ბიკოვისა.

4) არჩევანი საზოგადოების მოხელე კაცთა 1891—1892 წლისათვის.

საზოგადოების წესდების ძალით არა-წევრთაც ნება აქვთ, დაესწრნენ ამ კრებას.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას უკვე დაუმტკიცებია პროექტი მადათოვის კუნძულზე სანაპირო კედლის აშენებისა მტკვრის პირას, კუკიის პატარა ხიდს ქვემოდ, ბერლინის სასტუმროს პირდაპირ. ეს კედელი უნდა ააგოს თ. ი. ვ. მუხრანსკიმ, რომელსაც ეკუთვნის ხსენებული ნაწილი კუნძულისა. თ. მუხრანსკი შესდგომია კიდეც ამ სანაპირო კედლის აშენებას, კედლის სიგრძე 160 საჟენი იქნება.

*** გურია (ოზურგეთის მაზრა): ამას წინად „ივერიაში“ იყო ნათქვამი, ვითომ ჩვენში ყანები დამჭახდა და მოსავალი არ იყო. ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა, პირიქით, ყანების მოსავალი კარგი იყო, მაგრამ ღვინისა-კი ალაგ-ალაგ არა ყოფილა. ყურძენი არ დამწიფდა მეტის-მეტის წვიმისა და ნოტიო ამინდების გამო, მარცვალი ისევ ისე დარჩა თეთრად, როგორც ყვავილიდგან გამოვიდა.

*** ბარის ოსეთი: ბარის ოსეთში წლევანდელის წლისთანა დიდი მოსავალი სიმინდისა, როგორც მოხუცებულები ამბობენ, არა ყოფილა, დიდი ხანია. სიმინდის ჩასაყრელს სასიმინდეებს რომ ვეღარ შოულობენ, საცა მოხვდებათ, იქ აგროვებენ. წელს ფასიც დიდი აქვს სიმინდს. აქავე, ადგილობრივ გაუხმარი სიმინდი ფასობს მერკა 80—90 კ. ოსები ამისთანა ფასს ეხარებიან, ერთთავად ჰყიდიან სიმინდს და იმას-კი აღარა ფიქრობენ, რომ მეორე მოსავლამდის საზრდო უნდათ და ან მეორე წელსაც ესე სამყოფი მოსავალი მოუვათ თუ არა.

ფეტვის მოსავალიც ძლიერ კარგი იყო ბარის ოსებში წელს და ფასიც ისეთივე აქვს ფეტვს, როგორიც სიმინდს. პურისა და ქერის ფასს ჯერ-ჯერობით არ აუწევია სათქმელად; კომბოსტო წელს აქეთკენ კარგია და იაფიც იყო, ასე რომ სამ და ოთხ მანათად იყიდებოდა ასი; კიდევ უფრო იაფი იქნებოდა, მაგრამ რუსეთისკენ რკინის გზით დიდძალი გაზიდეს და ცოტა არ იყოს, რომ ამ გარემოებამ ფასი მოუმატა კომბოსტოს. კარტოფილის მოსავალი წელს აქეთ ძლიერ მცირე იყო, მეტადრე წითელის კარტოფილის თესლი თითქმის გაწყდა. როცა წინა

## ფელეტონი

### წერილი გრ. ლევ ტოლსტოისა რუსეთში ჩამოვარდნილ სიმშილის თაობაზე*).

მოიპოვება თუ არა რუსეთში გაისის მოსავლამდე საკმარისი პური? ზოგნი ამბობენ, მოიპოვება, არისო, ზოგნი ამბობენ, არაო, მაგრამ დაჭეშმარიტებით-კი არავინ არ იცის. ხოლო ამისი ცოდნა და დაჭეშმარიტებით ცოდნა საჭიროა ეხლავე, ამ ზამთრის პირზედვე. ამის ეხლავე ცოდნა იმ გვარადვე საჭიროა, როგორც შორის გზის მენავეთათვის ცოდნა იმისი, მიაქვთ თუ არა თან საჭირო და საკმარისი საგზალი.

საფიქრებელად და წარმოსადვენადაც-კი ძნელია, თუ რა განსაცდელში უნდა ჩაცვივდნენ ნავზედ მყოფნი, როდესაც მხოლოდ შუა ოკეანეზე შეიტყობენ, რომ საგზალი სრულიად შემოგველიაო. ამაზედ უფრო ძნელი საფიქრებელი ის ამბავია, რაც ჩვენ დაგვემართება, თუ ზოგიერთთა ფეხის ხმას ავყვებით და დავიჯერებთ, ვითომ ყველა დამშეულთათვის საკმარისი პური მოგვეპოვება, და მხოლოდ გაზაფხულზე-ღა შევიგნებთ ჩვენს ეხლანდელს უსაბუთო დაჯერებას.

ძნელადვე წარმოსადგენია ისიც, თუ რა სამწუხარო შედეგი უნდა მოჰყვეს ამ შეცდომას. ეს შედეგი მეტად საზარელი რამ ამბავი უნდა იყოს: სიმშილით სიკვდილი მილიონობით ხალხისა და—რაიცა ყველა უბედურებაზე უარესია—გაბოროტება კაცთა. პეტერბურგის მცხოვრებთათვის საკმარისია, მხოლოდ ხარბაზნების სროლით შეატყობინო, მდინარე მატულობსო. ამ შემთხვევაში სხვა ღონის ღონება აღარ შეიძლება, რადგან არავინ იცის, რამდენად მოიმატებს მდინარე: შარშადებულად, მე-24 წ. ოდენად, თუ უფრო მეტად და ან ნაკლებად.

ხოლო წლევანდელი სიმშილი ერთის მხრით წყალ-დიდობაზე უფრო საზარელი უბედურებაა და მეორეს მხრით უფრო საერთო დ საზოგადოც, რადგან ერთბაშად მთელს რუსეთს უქადის განსაცდელსა. მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია და სავალდებულოც ამ უბედურების ვითარების წინასწარვე ვარაუდობა და თავიდგან აცილება იმისი.

„კარგი, სალაპარაკოდ არა ღირს, რუსეთს ყველასათვის სამყოფი ჰინახული მოეპოვებაო“, ამბობენ და სწერენ ზოგნი და ამათ ერწმუნებიან სხვანიც მშვიდობის მოყვარულნი. მაგრამ აბა რა დასაჯერია უთაბაუთოდ ნათქვამი იმ გვარ საჭირ-ბოროტო საგნის შესახებ, როგორც რუსეთის დამშევაა?

აბანოში მხოლოდ კვირაში ერთხელ დაიარება ხალხი და იმის დაძველებულ ჰერის შესახებ რომ სთქვან, კიდევ გასძლებს, ჯერ გამოცვლა არა სჭირიაო, შეიძლება დავიჯეროთ, ცოტა ხანს კიდევ მოვუცადოთ, მაგრამ ესევე რომ სთქვან თეატრის შესახებ, სადაც ყოველ დღე ათასობით ირევა ადამიანი, მაშინ სულ სხვაა, გულ-დამშვიდებული ვეღარ დარჩება კაცი, რადგან მოსალოდნელი უბედურება ძლიერ დიდ განსაცდელად ეჩვენება. ხოლო ის განსაცდელი, რაშიაც რუსეთი ჩავარდება, თუ ვინიცობაა საჭმელი სრულიად შემოაკლდა და ვეღარაფრით ვეღარსად ვერ იშოვა, იმ ზომამდეა საზარელი, რომ გონებაც-კი აღარ ემორჩილება კაცს მის გასათვალისწინებლად. ამის გამო მარტო ლითონ სიტყვის დაჯერება იმის თაობაზე, რომ რუსეთი თავს გამოიკვებავს თავისისავე ჰინახულითაო, არა თუ შესაძლებელი არ არის, არამედ უგუნურებადა და დანაშაულობადაც-კი უნდა ჩამოგვერთვას.

მაგრამ განა მოგველის-კი ამნაირი განსაცდელი? განა მოსალოდნელია, რომ მართლა დააკლდეს რუსეთს პური? ამისი პასუხი შემდეგი მოსაზრებანია. ჯერ ერთი რომ სიმშილი ჩამოვარდა რუსეთის მთელს ერთს მესამედში, იმ მესამედში, რომელიც ასაზრდოებდა მომეტებულს ნაწილს რუსეთის დანარჩენის ორის მესამედისას. მოსკოვი, ტვერი და სხვა მრავალი ქალაქი ყოველთვის იმ გუბერნიებიდგან იკვებებოდა, სადაც ეხლა თითონაც არა აქვთ საჭმელი.

დამშეულ გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვი 20 მილიონად რომ ჩავაგდოთ (თუმცა ზოგნი 40 მილიონამდეც ანგარიშობენ) და კაცის თავზე რომ 10 ფუთი პური ვიანგარიშოთ, გამოვა სულ 200 მილ. ფუთი. მაგრამ ეს სრული ანგარიში მაინც არ იქნება. საჭიროა სხვა გუბერნიების ხალხიც ვიანგარიშოთ,

*) ეს წერილი დაბეჭდილია გაზეთს „*Русскія Вѣдомости*“-ში სათაურით „*Страшный вопросъ*“.

წლებში მერკა კარტოფილი ექვს-შვიდი შაური იყო ხოლმე, წელს ოთხ აბაზად და მანეთად ფასობდა. საქონლის საკვებიც ძლიერ ფასებში არის ჯერ-ჯერობით. როგორიც ურემი წინა წლებში იყიდებოდა ხოლმე კავკავში მანეთ ნახევრად, ამ ჟამად ოთხ მანათად და ოთხ და ათ შაურად იყიდება: ბარის ოსების ზოგ-ზოგს სოფლებში ყბაყურა გაჩნდა, მაგრამ ჯერ ზარალი არა მიუცია-რა ხალხისათვის. მუცელაც ძლიერ გახშირებულია ამ ჟამად ბარის ოსებში.

*** იქიდამვე: ბესლანის რკინის გზის სადგურზედ ამ ჟამად დიდი მოძრაობა არის: სადგურზედ რკინის გზის ლიანდაგებს უმატებენ. ერთი ახალი დიდი საწყობიც ააშენეს იარალის საწყობად; ეზიდებიან რუსეთის მხრიდგან დიდ-ძალს ტელეგრაფის ბოძებს და რკინის გზის ქვეშ დასაწყობს მუხის ხეებს. როგორც დარწმუნებით ამბობენ, აქ. პეტროვსკისკენ რკინის გზა უნდა გავიდეს ბესლანის სადგურიდგანაო. თუმცა კავკავი დღესაც იმედს არა ჰკარგავს და ცდილობს, რომ კავკავიდგან გაიყვანონ ეს გზა. როგორც ამბობენ, თუ მართლა ისე ასრულდა, და ბესლანის სადგურიდგან გავიდა პეტროვსკის რკინის გზა, მაშინ, რა თქმა უნდა, კავკავი ძალიან დაიქვეითებს.

*** ქურთათის ხეობა: (კავკავის მაზრა): წარსულის ენკენისთვის მიწურულებში აქაურ მცხოვრებთ დასათვალიერებლად ბრძანდებოდა ბ-ნი თერგის უფროსი. უფროსი ჯერ მიბძანდა სოფ. დალაგყავში. ხალხი ძლიერ ბლომად მიეგება უფროსს. უფროსი ეკკლესიაში შებრძანდა; სოფ. დალაგყავიდგან უფროსი აბრძანდა სოფ. ხიდიყუსში და ღამე იქ გაათია; ხიდიყუსში მცხოვრებნი ბიმბოლათა გუსოვი და დოდი გაპოევი მოსისხლეეები არიან ერთმანეთისა და ამიტომ კავკავის ოლქის სასამართლომ ბიმბოლათა გუსოვის ძმას საუკუნოდ ციმბირში დაკარგვა გადაუწყვიტა. მეორე დღეს ბიმბოლათა გუსოვის ციმბირში დაკარგულ ძმის ცოლმა, უფროსს თხოვნა მიართვა და სთხოვა, რომ მოწყალება მოიღეთ და ჩემი ქმარი განათავისუფლებინეთო. უფროსმა გამოიკითხა გარემოება და, როცა შეიტყო, საქმე რაში იყო, დედაკაცს უბრძანა: ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტალების დარღვევა მე არ შემიძლიანო და ორი მანეთი აჩუქა დედაკაცს. დედაკაცის მაზლმა გაიგო თუ არა ოლქის უფროსისაგან უარი, მაშინვე დამუქრებულმა წარმოსთქვა, მაშ, რაკი ჩემი ძმა იკარგება, ერთიც კიდევ უნდა ვიმსხვერპლო და მერე, თუგინდ მეც დავიკარგოვო. მართლაც, გაიქცა გუსოვი, დახვედროდა დოდი გაპოევის ჩვიდმეტის წლის ვაჟს, გაეძრო ხანჯალი გუსოვს, ჯერ კისერში დაეკრა და წაექცია, მერე გვერდსა და ბარძაყებში, უკანასკნელი თორმეტგან დაეჩხვლიტა საბრალო; ასე სისხლში მოსვრილი გაეშვა და გაქცეულიყო. ხალხი მალე შეგროვდა, მოვიდა გაპოევიც. შესვა ცოცხალ-მკვდარი შვილი ცხენზედ და გამოუყენა უფროსს. სისხლი საბრალოს თქრიალით გადმოსდიოდა. ნახა თუ არა უფროსმა სისხლში მოსვრილი მშვენიერი ყმაწვილი ბიჭი, დიდად შესწუხდა და ბევრიც იტირა. დამნაშავე იმ საათშივე შეაპყრობინა; ბ-ნი უფროსი ისე შეაწუხა ამ შემთხვევამ, რომ პურიც აღარ მიირთვა და ისე გაეშურა ქურთათის ხეობიდგან.

*** თელავიდამ სწერენ „ნოვ. ობ.“-ეს, რომ 8 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას უნდა გაენხილა ერთი ახირებული სისხლის სამართლის საქმე 11 წლის ყმაწვილის-მწყემსის მოკვლის თაობაზე მისისავე ტოლისაგან. საქმე ასე ყოფილა: მინდორში, საცა მწყემსნი საქონელს თურმე აძოვებდნენ, დაეტაკა ერთმანერთს ორი კამეჩი. ერთმა მეორე ძალიან დასჯობნა. ამაზე შეუხირდნენ ერთმანერთს პატრონები. შეხირებას ლანძღვა-გინება მოჰყვა, მერე კომბლების ტრიალი დაუწყიათ და ბოლოს ერთს ხანჯლით დაუჩრია მეორე ფეხში. ხანჯალს ძარღვი გაუჭრია და, რადგან ყველანი გაქცეულ-გამოქცეულან, დაჭრილი ყმაწვილი სისხლისაგან დაცლილა და მომკვდარა.

ამ საქმის გამო ბევრი პატარა ბიჭია მოწმედ მოწოდებული. დიდებიც თან მოჰყვნენ ამ პატარა მოწმეებს. საქმის განხილვა სხვა დროსათვის გადაიდო.

## საისტორიო მასალა

### VIII

### ხრამში

ტყეში, ხევის თავზე (ბორჩალოს მაზრაში) არის მშვენიერის ეკკლესიის ნანგ. დარბაზი, სახლები და სხვ. აქ, კარის დიდს ქვაზე არის: „სახელითა ღვთისათა და მეოხებითა ყოვლად წმინდისა ღვთის მშობელისათა და ყოველთა წმინდათა მოწამეთა.... „მე ღირს ვიქმენ აღშენებად საყდარსა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისასა. . . . „ადიდენ ღმერთმან მეფობისა. . . . „სალოცავად ჩემთვის მშობელთა და ძმათა ჩემთათვის“. ჰოი ყოველთა უმეტესო უფროსად კურთხეულო დედოფალო, რომელმან ჰშევ ქრისტე ღმერთი შეიწირე ჩემგან.... მიერ აღშენებული ესე საყდარი საწუთოსა ამას ძმითურთ მისაფრველე.... მეოხებითა შენითა“. აქ, ნაჩვენები წერტილების ალაგზე განგებ რკინის იარაღით 26 ასო ამოყრილია, ასე რომ აშენებელისა და მეფის სახელი დაუკარგავს. გლეხებმა გვითხრეს: დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა მებ—ნემ მეორის წინააღმდეგ ჩაიდინა ეს საქმე და მით მამული შეეძინაო.

ეს მშვენიერი ნაჰირნახულევი, მოწმე წინაპართა ჩვენთა, თუ რა ნაირ კლდე-ღრეში ქონებიათ ცხოვრება და დიდება, გადაწოლილა ხრამისკენ, მალე იქუხებს და ღრიალით შეუერთდება თვალ-ჩაუწვდენელ ხრამის მდინარეს.

### IX

### მანგლისის ხევში

ორი ძველი ეკკლესიაა უძველესის დროისა „ახალი მზის“ სოფელში,—ერთისათვის სამხრეთი და დასავლეთის ეკტერები ჩამოუცლიათ. ტანი ეკკლესიაშესანიშნავია ძველის ხელობით $4^1/_2$ არშინიანის ქვით. კედელზე გამოქანდაკებულ არიან: ეკკლესიის გეგმა, ჯვარი, ტევნები, ფრინველი, ლომი, ხარი, შუაში ორი კაცი: ერთს ხატი უჭირავს, მეორეს ჯვარი. კედელზე ხუცურადაა ესენი: ქ. „წ დ ს. ო ა ბ თ“. უნდა იყოს: წმინდას ოქროპირსა აქებდით.

საფლავის ქვებზედ ყველა ხელობის კაცი შეგხვდებათ: სამწყემსო კვერთხი, ყავარჯენი, 5 პურნი, რომლითაც განაძღნა 5,000-ნი, მეომარნი შვილდ-ისრით, ლახტი, გუთანი, რკინის ურო, გრდემი, მარწუხი, ჩაქუჩი, ადამიანის ზურგი—კუბო და სხვ.

ერთის ვერსის მანძილზე ძველის ეკკლესიის საფლავის ქვები წარმოადგენს უწინდელს დიდებს და იმათს ხელ-საქმეს: ქართულად ჩაცმულები ქათიბით და თმა-ნაწნავებით, გვერდით აქვთ ქარგვა-კერვის საჭირო იარაღი, ჯარა, საქსოვი, საჩეჩი, წყლის ჭურჭლები და სხვ,

ხალხის გადმოცემითა უწინ დედათა სალოცავი და სასაფლაო ცალკე ჰქონიათ, კაცებისა ცალკე.

### X

### თრიალეთში

„გუნიას“ სოფლის მახლობლად, სადაც ჩამოუდის ქცია, თვალ-საჩინო სახნავ-სათეს, მინდორზე ეკკლესიის კედლის დიდს ქვაზე ეს უჩვეულო წარწერა არის:

**ႪႴ ႷႣ ႬႡ ႬႩ**

ერთის შეხედვით მნახველი იფიქრებს: შეცდომით უნდა იყოს ჩაშენებულიო, მაგრამ მეორე კედელზეა შეიარაღებული კაცი, ამოჭრილი; თავდაღმა გადმოპრუნებული ცხენი და კაცია. მესამე კედელზეა: იარაღით აღჭურვილი, ხელთ ხმალი უშიშვლია, დამდგარა ცხენის უზანგუნაგირზე, ცხენი წინ გარბის და კაცი მისდევს უკან ხელში ხმლით.

კალისტრატე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენ ამას წინად რამდენიმე ადგილი გვქონდა ამოღებული ბ-ნ აბრამოვის წერილიდგან სტავროპოლის ახლოს მყოფ ახალ-შენების შესახებ. აღვნიშნეთ, როგორა აქვთ მოწყობილ-მომართული ახალ მოშენეებს საზოგადო სარდაფი და საწნახელი. აი შემდეგ რასა სწერს ბ-ნი ი. აბრამოვი:

თითქმის ამ ღვინის სარდაფისუბურ არის მოწყობილი ყველის საკეთებელი ქარხანაც. ამ ქარხანაში მოაქვს ყველა ახალ მოშენეს თავისი რძე და აქ მშვენიერ შვეიცარულ ყველად აკეთებენ. ამ ყველს განსაკუთრებულს ბნელს სადგომებში ინახავენ და შემდეგ ფუთს 12 მან. ჰყიდიან. სტავროპოლის დუქნებში ასევე ყველი გირვანქა 60—70 კაპ. იყიდება. წელიწადში, სულ ცოტა, ყველის საკეთებელი ქარხანა 1,500 ფუთამდე ყველს გააკეთებს. ამ ქარხანის ზედამხედველად ყველის კეთების საქმის კარგად მცოდნე კაცი ადგია, შვეიცარიიდგან დაბარებული.

მესამე საზოგადო დაწესებულება

---

რომელიც ეხლანდელ დამშეულ გუბერნიების პურით იკვებება ხოლმე.

მოუსავლობა ეწვია უფრო ღონიერს მესამედს რუსეთისას, იმ მესამედს, რომელიც სხვასაც ასაზრდოებდა, და აშკარაა, რომ ყველასათვის საკმარისი პური არ უნდა გვქონდეს.

ეს ერთი მოსაზრება. მეორე მოსაზრებაც ისაა, რომ რუსეთის მეზობელს ქვეყნებსაც მოუსავლობა ეწვია და ამიტომ დიდძალი ჰინახული უკვე წაიღეს ჩვენგან და ეხლაც კიდევ ეზიდებიან ხორბალს პურს რუსეთიდგან.

მესამე მოსაზრებაც ისაა, რომ ძველი შენახული პური არცა გვაქვს და არც უნდა გვქონდეს, თუმცა მე 40 წ. სიმშილის დროს-კი გვქონდა.

რუსეთს სწორედ იმ გვარივე ამბავი დაემართა, რაც დაბადების თქმულებით, ეგვიპტეს—ერთს დროსა, მაგრამ იმ განსხვავებით-კი, რომ რუსეთს თავისი წინასწარმეტყველი და თადარიგის დამჭერი იოსები არა ჰყოლია, ხოლო კევრ-კალოები, რკინის გზები დ ბანკები-კი გააჩნდა და ფულიც დიდად სჭირდებოდა, როგორც თვით მთავრობას, აგრეთვე კერძო კაცთაც. წარსულს წლებში, შვიდს წელიწადზე მეტიც რომ ავიღოთ, პური ბევრი გვქონდა, ფასები ძლიერ დაწეული იყო, ხოლო ფულის საჭიროება თან-და-თან ძლიერდებოდა. ამის გამო რკინის გზები, აგენტები და სხვა ამ გვარი გარემოება ხელს უწყობდა რომ პური ადვილად გაყიდულიყო და მართლაც იყიდებოდა მთელის წლის მოსავალი. თუმცა ზოგი ვაჭარი ინახავდა კიდეც პურსა და ფასების აწევას ელოდდა, მაგრამ დიდს ხანს ცდა მაინც შეუძლებელი შეიქმნა და გაზაფხულზე, ცოტა ფასი მოემატა თუ არა ჰინახულს, მაშინვე სულ ერთიანად გაყიდეს ფუთი 50—60 კაპეიკად. მე 40 წელს რომ სიმშილი, იყო, მაშინ არა თუ ბატონებს, არამედ თვით გლეხებსაც სამისა და ხუთის წლის ძველი პური ჰქონდათ შენახული. აი ეს გახლავთ მესამე საბუთი იმისი, რომ წელს პური დაგვაკლდება.

თუ ეს საბუთები ცოტა საეჭვოა, სხვა უფრო თვალსაჩინო საბუთებსაც ვუჩვენებ.

ერთი ამ ნაირი საბუთი ის არის, რომ თან-და-თან უფრო მალმალე ვხედავთ, რომ გასაყიდი პური აღარ იშოვება.

ამ მიყრუებულს ადგილას—დანკოვის მაზრაში, სადაც ამ ჟამად მე ვიმყოფები, შავი პური სრულიად აღარ არის გასაყიდი. გლეხი ფქვილს ველარ შოულობს. გუშინ ორი გლეხი ვნახე, რომელთაც ირგვლივ 20 ვერსის მანძილზე ყველა წისქვილი, დუქნები და სოფლები შემოეარნათ, მაგრამ ორი ფუთი ფქვილი ვერ ეშოვნათ. ბოლოს ერთს მათგანს სხვა მაზრაში დაეჩინლა ცოტა ფქვილი და მეორეს კიდევ ესესხნა. ამ გვარი ამბავი ძლიერ ხშირად და ყველგან ხდება. მეწისქვილეები მიდიან და მოწყალებასა თხოულობენ ღვთის გლახაკებივით საერო ფქვილის საწყობებში, რადგან არც შინ მოეპოვებათ საჭმელი და ვერც სხვაგან სადმე შოულობენ. მართალია, ქალაქებსა, რკინის გზებსა და დიდს ვაჭრებთან შეიძლება ყიდვა, მაგრამ მყიდველმა ერთიანად უნდა იყიდოს არა ნაკლებ მთელისა ან ნახევარ ვაგონისა. წვრილ-წვრილად ყიდვა მხოლოდ ბაზარს ალაგს შეიძლება საბაზრო დღეს. თუ მყიდველმა დაიგვიანა, მერე ველარსად-ღა იშოვნის. ეს ამბავი, მგონი, იმის ნიშანია, რომ საკმარისი პური არ მოგვეპოვება.

საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვამ ფასები არივ-დარია, ასე რომ იმის მახედვით ძლიერ ძნელია შეტყობა, რამდენი მოგვეპოვება ჰინახული და რამდენი არა. როგორც დამორევებულ ადგილის მიხედვით მდინარის სიღრმე ვერ გაიგება, ისე ეხლანდელის ფასების მიხედვით—ჰინახულის რაოდენობა. ამ აღკრძალვამა და მეორეც ერობათა მხნეობამ—იაფად პურის ყიდვამ—დროებით დასწია ფასები.

ერობათ ყველგან პური მხოლოდ იმის მეოთხედი ძლივს შეისყიდეს, რაც, მათისავე გამოანგარიშებით, ხალხის გამოსაკვებად დასჭირდებათ, და ამ ნაყიდს პურს იაფად ჰყიდიან. ამ გარემოებამ არია ფასები, თორემ მხოლოდ კერძო ვაჭრებს რომ ჩავარდნოდათ ხელში პურის ვაჭრობა, ნელ-ნელა დაუწყებდნენ ყიდვას და თანდათან ფასებსაც ასწევდნენ. ამიტომ აწინდელი ფასები შემთხვევით დაწეული ფასებია და უეცრივ სწორედ მაშინ აიწევს, როცა დანარჩენ საჭირო პურის შესყიდვაც შეუდგებიან ერობანი.

ესე არ მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ერობანი ერთბაშად შეისყიდიდნენ ხალხის გამოსაკვებად საჭირო პურს დ შემდეგ დაიწყებდნენ იაფად პურის გაყიდვას. ჯერ ეხლავე ჩვენს ახლო-მახლო ადგილებში 1 მ. 70 კ. აიწია ფასმა და თანდათან-კი უფრო მატულობს.

ყოველივე ეს იმისი ნიშანია, რომ რუსეთს უთუოდ არ აქვს საკმარისი პური. მაგრამ, ამას გარდა, კიდევ ერთი გარემოებაა, რამაც ყოველივე შესაძლებელი ღონე დროზედ უნდა გვაღონებინოს მომავალის უბედურების ასაცილებლად. ეს გარემოებაა საზოგადო შიში და ზარი, რომლის გამოც ხალხს რიგიანად ველარ უმოქმედნია თავის საშველად. ამ შიშმა და ზარმა ხალხი დააფრთხო, დააშინა და თითონაც არ იცის, საით და რისთვის წავიდეს. აი ავიღოთ თუნდა საშოვარზე ხალხის წასვლა-წამოსვლა.

სწორედ ოქტომბრის დამლევს მიაწყდნენ მოსკოვსა და პეტერბურგს ვითომდა საქმის საშოვნელად გლეხები, რომელთაც სხვა დროს ქალაქებში არა უკეთებიათ-რა. მაგრამ განა ამ დროს ქალაქში შესაძლებელია რაისამე სამუშაოს შოვნა? უიმათოდაც მრავალი მუშა ხალხია იმ დროს ქალაქებში უსაქმოდ დარჩენილი. ამ შემთხვევაში გლეხს ხარჯის მეტი რა უნდა მოსვლოდა? აბა ამ საგანზე ადვილი მოსაფიქრებელი რაღაა, მაგრამ არა, შიშისაგან გონება-გამოცლილი გლეხი მაინც მიიბრძვის ქალაქში. ეს ნიშნები ძლიერ ცუდი ნიშნებია და საშიშო ნიშნებიც. ტყუილად და უბრალოდ ნურავინ იტყვის, არაფერიო. არა, ჯერ მოსეულის მტრის ძალა კარგად უნდა შეიგნოს კაცმა და მხოლოდ შემდეგ სიტქვას, მოერევა დ გაუძლევბა მოწინააღმდეგეს, თუ ვერა. ეხლა ჩვენ მტერი კრიჰაში გვიდგას, ვიცით, რომ მტერი მოსულია, და ისიც-კი ვიცით, რომ იმ მტრისა გვეშინიან. მაშ განაღა შეიძლება არ შევიტყოთ, არ გამოვიწვრილოთ ამ მტრის ძალა და ღონე? განა კიდევ ასე უნდა დავრჩეთ და ჩვენი თავი ჩვენისავე ტყუილებით უნდა ვანუგეშოთ?

ახალ მოშენებას დუქანია. აქ მოიპოვება თითქმის ყველაფერი, რაც-კი ახალ მოშენეებს დასჭირდებათ, კათხიდგან, თოკიდგანა და კუპრიდგან დაწყებული წვრილმან საქონლამდე; აქვე იშოვით ისეთს ზიზილ-პიპილებსაც-კი, რომელსაც ახალ-მოშენეთა კოხტა-პრანჭიები იკეთებენ, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის აღსანუსხავ დავთრებს და სხ. ყოველივე საქონელი საუკეთესო ღირსებისაა და გაცილებით უფრო იაფადა ჰღირს, ვიდრე, მაგალითებრ, სტავროპოლის დუქნებში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მყიდველები თვითვე არიან დუქნის პატრონები.

რაც ყურძენსა და რძეს წარადგენს ახალ-მოშენე საზოგადო საწნახელსა და ყველის საკეთებელს ქარხანაში, ის შემოსავლად ეწერება საერთო დავთარში, ხოლო რასაც დუქნიდგან დახარჯავს—ის ვალად. წლის გასულს ანგარიშობენ და, თუ ყურძენი, რძე მეტი მიუტანია ახალ-მოშენეს და დუქნიდგან-კი საქონელი იმასთან შედარებით ნაკლებად დაუხარჯავს, დანარჩენს, თუ ჰსურს, ან მეორე წლის დავთარში აღანიშვნინებს, ან ფულად მიიღებს და ან ამითი საზოგადო პაის შეიძენს, რომლიდგანაც ყოველ წლიური დივიდენდი ეძლევა. ხოლო თუ საქონელი მეტი დაუხარჯავს დუქნიდგან, ვალს ან მაშინვე იხდის და ან მეორე წლის დავთარში იწერავს გადასახდელ ვალად.

საზოგადო დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე ახალ-შენების სასწავლებელიც. როგორც ვსთქვი, ორსავე ახალ-შენში სულ ასი მოსახლეც არ იქნება და მაინც-კი ორი სასწავლებელი აქვთ გამართული, ორივე ორ-ორ კლასიანი, ხუთის მასწავლებლითურთ. ყველა ბავშვი უეჭველად სწავლობს და ამთავრებს კიდეც სწავლას. ჯერ მარტო ამის გამოისობით ახალ-მოშენენი გონებრივად გაცილებით მაღლა სდგანან სხვა სოფლისა და დაბის მცხოვრებლებზედ. ბევრნი ამ ორ-კლასიან სასწავლებლის სწავლასაც არა კმაყოფილდებიან და ქალაქებში მიდიან გიმნაზიებში სასწავლებლად. თავისს სამშობლოს მაინც-კი არა ჰშორდებიან და, როცა სწავლას ამთავრებენ საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში, ისევ თავისს სოფელს უბრუნდებიან და ისევე ცხოვრობენ, როგორც იმათი მშობლები; ბაღში ჰმუშაობენ, ჰხნავენ, სთესენ, საქონელს უვლიან. ეს მაინც ხელს არ უშლით და წიგნებსაცა კითხულობენ, ჟურნალ-გაზეთებს იწერენ, საზოგადოებებსა ჰმართავენ და აქ თითონაც სწავლობენ და სხვასაც ანვითარებენ გონებრივად. აი ეს განათლებული ახალგაზდობა შეადგენს მადასა და ღონეს ახალ-მოშენეებისას. ამ განათლებამ დაასრულა ის საზოგადო დაწესებულებანი, ამან მისცა მათ შეძლება, თავისი ცხოვრება ისე ლამაზად მოეწყოთ და სხ.

დასასრულ, ბ-ნი აბრამოვი ამბობს, რომ კიდევ ბევრი რამ ვნახე და გავიგონე საყურადღებო, მაგრამ ყოველისავე ქაღალდზედ აღნიშვნა ძნელიაო.

ვიტყვი მხოლოდ, როცა ამ ახალშენიდგან მივდიოდი, გამახსენდა ჯანსაღი, ჩასხმული გერმანელი ქალები და კაცები, რომელთაც ის იყო მუშაობა გაეთავებინათ და ტანისამოსს იცვლიდნენ. კაცები სერთუკებს იცვამდნენ, ქალები—სუფთა კაბებს და ყავის დასალევად ემზადებოდნენ; გამახსენდა იმათი დალაგებული, გონიერი ლაპარაკი, უფრო გონიერი, ვიდრე ჩვენს მოქალაქეთა შორის შეხვდებით; გამახსენდა, რომ იმ ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ცხენებს ერეკებოდა დილით საძოვარზედ, საღამოზედ საუცხოოდ დაუკრა სკრიპკა, და იმ დედაკაცმა, რომელიც ღორებს საჭმელს აძლევდა და ძროხებს სწველავდა, ლამაზის, სასიამოვნო ხმით რაღაც ნაზი გერმანული სიმღერა იმღერა. როცა მოვიგონე, რომ თითქმის ყოველს ოჯახში პაწია წიგნთ-საცავი ჰქონდათ და გაზეთი ყველა გლეხის სახლში მოიძებნებოდა, გული ამტკივდა და სახეზედ სირცხვილის ალმურმა გადმკრა. ვიფიქრე, რატომ ჩვენში-კი არ უნდა იყოს-მეთქი ასე?

მართლაც-და, რატომ ჩვენში-კი არ უნდა იყოს ასე? ნეტა ან ვედირსებით-კი როდისმე ასეთს სიკეთეს?!...

# დეპეშა

18 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ოფიციალურად ნაუწყები ამბავი: არ არის აღკრძალული გატანა საზღვარ გარედ პარკიან და ზეთის სახდელ მცენარეულობათა თესლეულობისა.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ დაწესდა პურის ზიდვა ნოვოროსიისკიდამ შავის ზღვით სევასტოპოლისა და ოდესისაკენ დამშეულ გუბერნიებში მისაწვდენლად. ქირას გადატანისას ზღვაზე $3^1/_2$ და 5 კაპეიკს თითოეულს ფუთზე ხაზინა გადაიხდის, თუ გადასაზიდი პური ერობისაა; კერძო გადამზიდველთ თვითონ უნდა გადიხადონ ქირა. ქირა გადცტანისა არ იქმნება მომატებული, თუნდა შორს მოსავლელის გზით რომ იქმნას წაღებული პური რკინის გზაზე.

„Бирж. Бѣд.“-ი იუწყება, რომ დამშეულ გუბერნიების დასაკმაყოფილებლად, მთავრობას განზრახვა აქვს, შეისყიდოს სახაზინოდ ყველა იმათაგან, ვისაც წლიურ სარჩოზე მომეტებული პური აქვს, იმ ფასად, რა ფასადაც იყიდებოდა პური საზღვარგარედ გატანის აღკრძალვის დღეს.

## პეტერბურგის ბირჟა, 15 ნოემბ.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 35 | 8, 40 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $167^1/_2$ | 16 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 19 | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 240 |
| —მეორისა . . . . | $216^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . , . | 200 | — ,, | 203 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| $6^0/_0$. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| $5^0/_0$. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პ ა რ ა ს კ ე ვ ო ბ ი თ: საღამოზე, შორის გზით.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ: დილით, სტამოლიდამ.

ფ ო თ შ ი მ ო დ ი ს ბ ა თ უ მ ი დ ა მ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფ ო თ ი დ ა მ ბ ა თ უ მ ს მ ი დ ი ს: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ: დილის 9 საათზე.

ფ ო თ ი დ ა მ ს უ ხ უ მ ს: ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საგენტო.

ფ ო თ ი დ ა მ ბ ა თ უ მ ს მ ი დ ი ს:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში მოხდება ვაჭრობა სამის წლის ვადით იჯარით გასაცემად 2147 დესეტინისა და 2040 ოთხ-კუთხის საჟენის საქალაქო მიწისა ავლაბარში. (6—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში ვაჭრობა მოხდება სამის წლის ვადით იჯარით გასაცემად გაჯის ამოსაღებ მიწისა ავლაბარში, ზომით 476 დესიატინა. (3—3)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

პატიოსანი ადამიანი . . „ 5

ლენტის მსგავსნი ჰიებ-ბი ი. თ. . . . . „ 5

მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ.


თუნდა, ვსთქვათ, ისიც მოხდეს, რომ რუსეთის საზოგადოება, დამშეულთა შორის მცხოვრებნი და თვით ხალხიც თავგამომეტებით შეებრძოლება სიმშილს, არაფერს არ დაიშურებენ და არ დაზოგავენ მოყვასის დასახმარებლად, ქველმოქმეთა რიცხვიც გამრავლდება და სხვა... მაგრამ რამდენს ხანს უნდა გასტანოს ამ ამბავმა?—გავა ერთი თვე, ორი, სამი, ექვსი, პურის ფასი თანდათან იმატებს 1 მ. 70 კაპეიკის მაგიერ 2 ან 3 მანათი გახდება და უეცრად-კი ბოლოს შეიტყობენ, პური აღარსად არ იშოვებაო. მხოლოდ მაშინ შეიგნებენ, ტყუილად დავხარჯეთ ამდენი შრომა, ტყუილ უბრალოდ შევწირეთ ამდენი შესაწირავი, ხალხს მაინც თავისი დაემართა და სიმშილით სიკვდილი არ ასცდაო. იმავე დროს თითზედაც ვიკბენთ და ვიტყვით, შეგვეძლო, იმ თავითვე სარისტიანად მოვქცეულიყავით, თადარიგი დაგვეჭირა და ეს უბედურება თავიდგან აგვეცილებინაო.

არა, არ შეიძლება ასე გაჩერება, ასეთი უცოდინარობა ჩვენის საქმისა. თვით გლეხები ყოველს საცდელსა სცდიან თავის საშველად. ფულს შოულობენ და კიდით კიდემდე დაიარებიან პურის საყიდლად. თუმცა ბოლოს სიმშილითაც მოკვდეს გლეხი, სინისი მაინც აღარ შეაწუხებს, ამას მაინც იტყვის, რაც შემეძლო, ყოველი ღონე ვიღონეო.

ხოლო ჩვენ-კი არ შეგვრჩება დამშვიდებული სინიდისი, თუ საჭმელი შემოელევა ხალხს და სიმშილით დაიხოცება: ჩვენ ადრევე შეგვეძლო გაგვეგო, რამდენი გვაკლდა პური, და დროზე თადარიგი დაგვეჭირა—ამერიკიდგან და კიდევ სხვაგნიდგან საიდგანმე მოგვეტანა. თუ გლეხი 20 ან 40 ვერსის მანძილზე დადის, ჩვენ უნდა ინდოეთი და ავსტრალია შეგვეძრა, რადგან არა მარტო გზა ვიცით ამ ქვეყნებისა, არამედ მათთან დამეგობრებულნიცა ვართ.

მაგრამ როგორ შევიტყოთ, ან რამდენი გვაქს პური და ან კიდევ რამდენი დაგვჭირდება? თუ-კი იმას ვანგარიშობთ, რამდენი მილიონი სხვა-და-სხვა მწერია, რამდენი ვერსი და არშინია ცის მნათობებამდე და სხვ. ნუთუ იმის შეტყობა და გამოანგარიშება-კი გაგვიჭირდება, რამდენი უნდა ჭამოს კაცმა, რომ სიმშილით სული არ ამოხდეს, და რამდენი საზრდო აქვს ამ ჟამად შენახული? თუ-კი თავდადებით სხვა-და-სხვა სასტატისტიკო ცნობებს ვაგროვებთ ათასის სამეცნიერო საგნის შესახებ, განა ეს უბრალო და მეტად საჭირ-ბოროტო საქმე-კი გაგვიჭირდება? არა, ყოვლად შეუძლებელია, რომ ვერ მოვახერხოთ.

არა თუ მარტო დაახლოვებით, მეტნაკლებობით, არამედ ზედმიწევნილს დეჭემმარიტებითაც შეიძლება ამ საგნის შესახებ ცნობების შეკრება მსგავსად იმისა, როგორც ერთის დღის აღწერით შეიტყობენ ხოლმე რომელისამე ქალაქის მკვიდრთა რიცხვის რაოდენობას.

ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა იმის შეტყობა, რამდენი პური დაგვჭირდება კიდევ, გარდა ჩვეულებრივის ხარჯისა, დამშეულ ადგილების მცხოვრებთა გამოსაკვებად. და რამდენი ჰინახული მოიპოვება ამ ჟამად რუსეთში.

ძნელია თუ ადვილი ამ სიტყვეზე პასუხის მიგება, უნდა უთუოდ მივუგოთ, თუ გვინდა რომ ხალხს მოვაშოროთ ეს ზარი, ეს გამოურკვეველი შიში, რომელსაც მომავალისა და კარზედ მომდგარის უბედურების წინაშე გრძნობს, და უმთავრესად-კი თვით უბედურების ასაცილებლად.

ხსენებულ საგნის შესახებ საჭირო ცნობათა შეკრება შეუძლიან მთავრობასაც, ერობათაც, სადაც-კი არსებობს იგი, და კერძო საზოგადოებასაც, განსაკუთრებით ამ საგნისათვის შემდგარს. ისეთი მაზრა არ იქნება, რომ ორიოდე კაცი არა ჰყავდეს ამ საქმისთვის თავდადებული და გულშემატკივარი. არც საიმისოდ ძნელია ეს საქმე. ერთის კვირის განმავლობაში ადვილად შეიძლება მთელის მაზრის მეოთხედის შემოვლა და ჰინახულის რაოდენობის შეტყობა ისე ზედმიწევნით, რომ განსხვავება 10 ან 15% მეტი არ იყოს. აი თვითონ მეც ვკისრულობ და ერთის კვირის განმავლობაში საჭირო ცნობებს შევკრებ ჰინახულის შესახებ იმ მაზრის მეოთხედში, რომელშიაც ამ ჟამად მე ვიმყოფები. სხვებსაც ბევრს ველაპარაკე ამ საგნის თაობაზე და ისინიც მზად არიან, ამ საქმეს ემსახურონ. მე მგონი, შესაძლებელია, რომ ერთი მთავარი საზოგადოება დაწესდეს ამ საგნისთვის და იმ საზოგადოებამ გაგზავნოს აქეთ-იქით კაცები და შეაკრებინოს ცნობები. კითხვა არ უნდა, ყველაფერს დაწვრილებით ვერავინ გაიგებს და შეიტყობს, რადგან ათასნაირი დაბრკოლება შეხვდება, მაგრამ იმოდენად ზედმიწევნით მაიც გამოვიკლევთ საძიებელს, რომ შეგვეძლება პასუხი მივცეთ ჩვენს თავს ამ საჭირ-ბოროტო საგანზე: ეყოფა თუ არა რუსეთს თავისი ჰინახული გამოსაკვებად?

თუ აღმოჩნდა, რომ რუსეთში 100-ით ან 50 მილიონის ფუთით იმაზე მეტი ჰინახულია, რაც ერთს წელიწადსა ჰყოფნის, მაშინ არხეინად შეგვიძლია ცხოვრება. თუნდა ამ ჰინახულის ნაწილი ზოგი დაიკარგოს, ზოგი დაიწვას და ზოგიც მოვაჭრეებმა შეინახონ, მაინც საშიშო არა გამოვა-რა. თუ აღმოჩნდება, რომ რუსეთს მხოლოდ იმდენი ჰინახული აქვს, რამდენიც ახალ მოსავლამდეა საჭირო, მაშინ ცოტა საფიქრებელი იქნება ჩვენი საქმე. მაგრამ განსაცდელისა კიდევ არ უნდა გვეშინოდეს, რადგან სხვა-და-სხვა ნაირის ყაირათობით შეიძლება იოლად წავიდეთ. ხოლო თუ ცნობათა შეკრებამ აღმოაჩინა, რომ ჰინახული არამც თუ საკმარისი არა გვაქვს, არამედ გვაკლია 100 ან 50 მილიონი ფუთი, მაშინ-კი, თქვენი მტერი, ჩვენ საქმე დაგვემართება. ეხლავე რომ შეგვეტყო ეს ამბავი, შეგვიძლიან ამ თავითვე თადარიგს შევუდგეთ, შევისყიდოთ უცხოეთში საჭირო ჰინახული და ამ სახით განსაცდელს გადავარჩინოთ ხალხი და ჩვენი თავიც, მაგრამ ბოლოს საქმის შველა შეუძლებელი-ღა იქნება. როცა მთელს შენობას მოედება ცეცხლი, მაშინ გადარჩენა შეუძლებელი-ღაა.

კაცმა უნდა იცოდეს, რომ შრომა უქმად, ფუჭად არ ჩამივლისო, თორემ უიმისოდ იმისს შრომას არც მადლი და არც ხალისი ექნება. ეხლანდელ ქველ-მოქმედთა საქმეც ასეაა. რაკი არ იციან, გამოვა რამე სიკეთე ჩვენის თავგანწირვისაგან, თუ არაო, ხალისი ეკარგებათ და გული გულის ალაგას აღარ აქვთ მოღვაწეობის დროს.

ს. გძელიშვილი

ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . „ 40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . „ 30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . „ 20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . „ 25
იქვე ისყიდება-თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . . 1 „

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ქყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა . | „ | 15 |
| მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა . . . | „ | 60 |
| საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა | 1 | 60 |
| საეკლესიო ისტორია მისივე . . . . . . | „ | 45 |
| იავნანამ რა ჰქნა? სყმაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . . | „ | 10 |
| საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა. . . . . . | „ | 20 |
| საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . . | „ | 25 |
| გეომეტრია მ. ზ. ყოფიანისა, ნაწილი „ II სტერეომეტრია „ III უმდაბლესი გეოდეზია „ IV ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიის და „ V—ლაგარითმოსის ტაბლიცებისი . . . | „ | 50 |

## „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | „ 40 კ. |
| კედლის კალენდარი 1892 წლისა . . . . . | „ 40 კ. |
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . | 1 მ. 20 კ. |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . | 2 მ. 50 კ. |
| სამივე ტომი . . . | 7 მ. |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 მ. 20 კ. |
| იგივე ყდით . . . | 1 მ. 40 კ. |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა დ ფაქსიმილეთი . . . . | „ 80 კ. |
| იგივე მშვენიერის ყდით | 1 მ. 25 კ. |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . | „ 15 კ. |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . | „ 30 კ. |
| იგივე ყდით . . . . | „ 75 კ. |

## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . | „ | 20 |


# იყიდება იაფად

ექვსი დღიური სარწყავი მიწა, სახლის ადგილი, საზაფხულო სადგომად გამოსადეგი, ვენახი, საბაღე და სახნავი მამული სოფელს ბერბუკში, რომელიც $1^1/_2$ ვერსზეა ქალაქ გორიდამ. პირობათა შეტყობა შეიძლება საპიორების ქუჩაზე, № 23, სახლის-პატრონ ჯიმშეროვთან. (3—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. | 10 მ.—კ. | | 6 თვით | 6 მ.—კ. | |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 50 „ | |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 75 „ | |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ | |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 75 „ | |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

# ისყიდება

## ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიაში,

## მ. ჯანაშვილის მიერ

დასტამბული წიგნები:

ა) „აღვაძგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, დამატებით მე IX-X საუკ. „სამეცნიერო ქრისტომატიიდამ“ ამოღებულ „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა,“

ბ) მწერლობა მე IX-X საუკუნისა, რომელშიაც დაბეჭდილია იგივ „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ გამომცემის წინასიტყვაობითურთ

გ) საუნჯე მე X საუკუნისა, ფასი 20 კაპ.

P. S. პირველი წიგნი დაიბეჭდა 300 ცალად, და ცალი ღირს 30 კაპ., ხოლო საუნჯითურთ 40 კაპ., მეორე წიგნი დაისტამბა 100 ცალად, და ცალი ღირს 40 კაპ., საუნჯითურთ აგრეთვე 40 კაპ.—შემოსული ფული გადაედება ფონდად მე IX-X საუკუნის მწერლობის ნიმუშების საბეჭდავად.

# აბრეშუმის თესლეულობა

# ძმ. პასხალიდებისა

ბრუსსაში (ოსმალეთში).

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. ისყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში ოთხ-კუთხის ყუთებით და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათა პასხალიდებს. (5—4)


Дозв. ценз. Тифлисъ, 19-го Ноября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.